შპს ლილეო

სამშენებლო და საექსპერტო კვლევითი სამუშაოების ჯგუფი



შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

/№990(C)/

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ქუჩა თევდორე მღვდელი №27 საკადასტრო კოდით №01.13.07.006.027 და №01.13.07.006.026 მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არსებულ ტერიტორიებზე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული მდგომარეობის კვლევა და საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პერიოდში ზეგავლენის წარმოქმნის შესაძლებლობა მომიჯნავე ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობების მიმართ

თბილისი

შინაარსი

ქ.თბილისი, ქუჩა თევდორე მღვდელი №27, შესწავლილ იქნა საკ. კოდით №01.13.07.006.027 მიწის ნაკვეთი, სადაც მდებარეობს საკადასტრო ნუმერაციების მიხედვით 01/1, 02/1, 03/1, 04/1 და საკ. კოდით №01.13.07.006.026 მიწის ნაკვეთი, სადაც მდებარეობს საკადასტრო ნუმერაციის მიხედვით 01/4, 02/2, 03/1, 04/2, 05/1, 06/1, 07/1, 11/1, 12/1, 17/1 შენობა-ნაგებობები.

კვლევას საფუძვლად დაედო საპროექტო გადაწყვეტილება კერძოდ, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილი ნაგებობის სრული დემონტაჟი. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ შესასრულებელი სამუშაოები გულისხმობს აღნიშნული შენობების დემონტაჟის, მომიჯნავედ არსებულ საკადასტრო საზღვრებში შენობების კონსტრუქციული მდგომარეობის შესწავლას და სამუშაოების განხორციელების პროცესში ზეგავლენის წარმოქმნის შესაძლებლობას, შესაბამისი დასკვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

აღნიშნულ მისამართზე სადემონტაჟო შენობის კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

საპროექტო ტერიტორიების დათვალიერების შედეგად, ზემოთ აღნიშნული საკ. ნუმერაციით შენობები 01/1, 02/1, 03/1, 04/1 და 02/2, 03/1, 04/2, 05/1, 06/1, 07/1, 11/1, 12/1, 17/1 აღნიშნული შენობა-ნაგებობები კონსტრუქციული თვალსაზრისით ხასიათდება

შემდეგი სახით: შენობის საძირკვლები დაკვირვების შედეგად განხორციელებულია რკინა-ბეტონის ლენტურ ფუნდამენტზე, აღნიშნული შენობა-ნაგებობები ნაშენია აგურის კედლების წყობაზე, გადახურვები მოწყობილია რკინა-ბეტონის ფილებითა და ანაკრები სიმკარების წყობით. აღნიშნული საკადასტრო ნუმერაციების მიხედვით დანომრილი შენობა-ნაგებობები კონსტრუქციული სქემის მიხედვით ერთმანეთთან მიმართებაში ანალოგიური ტიპისაა. შენობების დემონტაჟი ამ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ხელით, ვინაიდან არ საჭიროებს მძიმე ტექნიკის გამოყენებას.

რაც შეეხება შენობა საკადასტრო გეგმის მიხედვით 01/4 წარმოდგენს მონოლითურ რკინა-ბეტონის კაპიტალურ ნაგებობას. შენობას ნაწილობრივ გააჩნია სარდაფის სართული, ხოლო ზედა ოთხი სართული სასაწყობე ფართებით იყო დაკომპლექტებული. შენობა მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასული ტიპისაა, რომლის სართულშუა გადახურვები რკინა-ბეტონის მონოლითური ორმაგად არმირებული ფილებით არის წარმოდგენილი. აღნიშნული შენობა თავისი კონსტრუქციული მახასიათებლებით სადემონტაჟო სამუშაოებთან მიმართებაში უნდა წარიმართოს შემდეგი სახით: ვინაიდან შენობა მონოლითური კარკასული ტიპისაა საჭიროება მოითხობს სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს ტექნიკის საშუალებით კერძოდ, კოდალის მეშვეობით, ვინაიდან რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი სხვა საშუალებებით შეუძლებელია, როგორც განლაგების თვალსაზრისით ასევე სირთულის მიხედვით.

საპროექტო-სადემონტაჟო ტერიოტრიას ესაზღვრება საკ. კოდით №01.13.06.011.032 მიწის ნაკვეთი, რომელზეც არ არის განთავსებული შენობა-ნაგებობები, ფაქტობრივად აღნიშნული ტერიტორიის მიმართ ყოველგვარი სახის უარყოფითი ზეგავლენის წარმოქმნა შეუძლებელია.

საპროექტო-სადემონტაჟო ტერიოტრიას ესაზღვრება საკ. კოდით №01.13.07.006.002 ტერიტორია, რომელზეც მდებარეობს საცხოვრებელი და დამხმარე შენობა-ნაგებობები. აღნიშნული ტერიტორია სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების არეალიდან დაცილებულია საკმარისი მანძილით, ფაქტობრივად სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში გამორიცხულია ვიბრაციებისა და ძალვების წარმოქმნა აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული შენობების მიმართ. კვლევის შედეგად ჩვენს მიერ განისაზღვრა მინიმალური მანძილი დაშორება სადემონტაჟო შენობა საკ. ნუმერაციით 01/4-სა და აღნიშნული მომიჯნავე ნაკვეთზე არსებულ შენობის უახლოეს წერტილამდე, რომელიც შეადგენს დაახლოებით 30.00 მეტრს. გაანგარიშების მიხედვით სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ვარდნის პროცესში და დაცემის შედეგად წარმოქმნილი ძალვები არ ახდენს განშლას აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული შენობებამდე, შესაბამისად გამოირიცხება ყოველგვარი სახის დამაზიანებელი ფაქტორების წარმოქმნის პირობა.

სადემონტაჟო მოედანს ასევე ესაზღვრება საკადასტრო კოდით №01.13.07.006.015 №01.13.07.006.008 და უკანა ტერიტორია, რომელიც არ იძებნება საკადასტრო მონაცემებზე დაყრდნობით. აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები, რომელიც კვლევის შედეგად წარმოდგენილია სემდეგი სახით: აღნიშნული შენობა-ნაგებობები საკმაოდ ხანდაზმულია და აღენიშნებათ მკვეთრი დეფორმაციების კვალი. შენობები აშენებულია აგურის წყობით და გააჩნია ყორე-ქვებისაგან შემდგარი საძირკვლებით. შესწავლის საფუძველზე აღინიშნება არათანაბარი ჯდენითი პროცესები და ნალექების კვალი მზიდ კედლებზე, ასევე ამორტიზირებულია გადახურვის კოჭები. კონსტრუქციული გადაწყვეტილების და ანალიზის საფუძველზე აღნიშნული შენობა-ნაგებობების გამაგრებითი სამუშაოების განხორციელება არ არის მიზან-შეწონილი, ვინაიდან წარმოდგენილი მდგომარეობის მიხედვით ფაქტობრივად შეუძლებელია და არ არის რენტაბელური გამაგრების კუთხით. აღნიშნული შენობები ძირითად სადემონტაჟო შენობა საკ. ნუმერაციით 01/4-ისაგან დაცილებულია დაახლოებით 36.00 მეტრით, თუმცა რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ვარდნის დროს ამ მიმართულებით აღინიშნება გარკვეული სახის ვიბრაციები. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ განისაზღვრა სამუშაოების წარმოების მეთოდები და აღნიშნულ მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებული შენობების მიმართ უსაფრთხოების პირობები.

გაანგარიშებისა და გამოთვლების საფუძველზე შენობა საკ. ნუმერაციით 01/4-ის პერიმეტრზე კედლიდან 2.00 მეტრის დაშორებით უნდა მოხდეს არხის ამოჭრა (იხ. თან დართული ნახაზი). გაანგარიშების მიხედვით შენობა 01/4 –ის სარდაფის ნიშნულის დონიდად ქვემოთ ჩაღრმავება განისაზღვრა 4 მეტრით, ანუ არსებული მიწის ზედაპირიდან უნდა მოხდეს 8 მეტრის სიღრმეზე და 3 მეტრის სიგანეზე არხის ამოჭრა. არნიშნული სქემის მიხედვით ძალვების განშლა იქნება აღმოფხვირილი და საშიშროება, რომ გამოიწვიოს დამაზინებელი ვიბრაციების გადაცემა აღნიშნული მომიჯნავე ტერიტორიის მიმართ იქნება აღმოფხვრილი.

სადემონტაჟო მოედანს ესაზღვრება საკადასტრო კოდით №01.13.07.006.009 მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლები. კვლევის ფარგლებში აღნიშნული ტერიტორია და მასზე განთავსებული შენობები, საპროექტო-სადემონტაჟო სამუშაოებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სადემონტაჟო სამუშაოების

პროცესში არავითარი სახის უარყობითი ვიბრაციები არ გადაეცემა, რის საფუძველზეც დამატებით გამაგრებით ან სხვა სახის ღონისძიებების გატარებას არ საჭიროებს.

საპროექტო ტერიტორიის არეალიდან დარჩენილი მომიჯნავე საკადასტრო საზღვრებზე გათვასებული შენობა-ნაგებობები არის დაცილებული საკმარისად დიდი მანძილებით, შესაბამისად ირიცხება ყოველგვარი სახის უარყოფითი პირობების შექმნა და ზეგავლენის წარმოქმნა.

რაც შეეხება საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულ მშენებლობას შესწავლის საფუძველზე წარმოდგენილია შემდეგი სახით: საპროექტო შენობის კონსტრუქცია გადაწყვეტილია მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასული სახით. დაცული იქნას სამშენებლო ნორმატივები და ფუნდამენტების მოწყობის პერიოდში დაგეგმარება მოხდეს გეოლოგიური და კონსტრუქციული მუშა პროექტის მიხედვით. შესაბამისად გამორიცხულია სხვა გარემო-პირობებიდან გამომდინარე მოხდეს ზეგავლენის გადაცემა აღნიშნულ მომიჯნავე ნაკვეთებზე განთავსებული შენობების მიმართ, ზეგავლენის წარმოქმნის საშუალება.

ზემოთ ხსენებულ მომიჯნავე ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული მდგომარეობის კვლევის საფუძველზე არ გამოვლინდა დარღვევები მზიდი საყრდენი ელემენტების დაზინებების მიმართ (საკადასტრო კოდით №01.13.07.006.015 №01.13.07.006.008 №01.13.07.006.009), თუმცა გაანგარიშებისა და ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების პირობების უსაფრთხოების სქემა.


დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი ქ.თბილისი, ქუჩა თევდორე მღვდელი №27, შესწავლილ იქნა საკ. კოდით №01.13.07.006.027 და №01.13.07.006.026 მიწის ნაკვეთებზე ზემოთ აღნიშნული შენობების სადემონტაჟო სამუშაოები დასაშვებად მიგვაჩნია და არ გამოიწვევს მომიჯნავე სამეზობლო საზღვრებში არსებული შენობების მიმართ ზეგავლენის გადაცემას ზემოთ ხსენებული პირობების და განსაზღვრული სქემის გათვალისწინებით. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია ხელით, ხოლო შენობა საკადასტრო ნუმერაციის მიხედვით 01/4 დაიშალოს ტექნიკის გამოყენებით, რაზეც უსაფრთხოების მიზნით უნდა მოხდეს პერიმეტრის ირგვლივ დადგენილ მანძილზე (იხ. თან დართული ნახაზი) არხის ამოჭრა, რის შემდგომ შესაძლებელია იქნება სამუშაოების წარმოება და დაცული იქნება უსაფრთხოების პირობა, რომ არ გამოიწვიოს უარყოფითი ძალვების განშლა მომიჯნავე ტერიტორიის მიმართ (საკ. კოდით №01.13.07.006.015 №01.13.07.006.008 №01.13.07.006.009). მოცემული კვლევის შედეგად განსაზღვრული რეკომენდაციების და მოთხოვნების გათვალისწინებით დაცული იქნება ზეგავლენის წარმოქმნის საშუალება და უსაფრთხოების ნორმები.

დირექტორი: **ა. ყურაშვილი**

კონსტრუქტორ-ექსპერტი:




38.00 მ
2.00 მ
48.00 მ
13.20 მ
2.00 მ
3.00 მ
423.68
423.38
423.70
423.83
424.96
423.84
424.10
424.90
423.85
423.79
423.80
423.95
423.90
423.79
423.96
423.83
423.85
423.81
424.05
423.84
424.03
424.05
423.84
423.95
425.06
423.96
423.97
423.92
423.99
424.08
423.89
423.94
423.96
423.85
423.90
423.91
423.87
423.78
423.91
423.86
423.78
423.66
423.44
423.96
424.17
423.82
424.04
427.41
427.17
427.43
427.37
428.24
427.38
427.47
427.17
427.40
427.37
427.25
427.61
427.47
427.24
425.09
425.22
424.65
425.21
424.27
424.28
482700
4619600
2ქა
4ქა







